# პლატონი: ენა როგორც გზა რეალობისაკენ

ნანა გულიაშვილი

ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
https://doi.org/10.52340/lac.2022.784

სოფისტური რელატივიზმის დასაძლევად პლატონი ეძებს ცოდნის მყარ საფუძველს. იგი გახლდათ პირველი ფილოსოფოსი რომელმაც ცოდნის საკითხი ენას დაუკავშირა.

მისი ცნობილი დიალოგი ,,კრატილე“ სწორედ ამ საკითხს ეძღვნება. მას აინტერესებს იდეათა სამყაროსთან ენის მიმართების საკითხი. არის თუ არა ენა საიმედო დასაყრდენი ცოდნის ძიებისას და შესაძლოა თუ არა საკითხი გადაიჭრას იმით, რომ თუკი ვიცით სიტყვები, ვიცით საგნებიც. ასე რომ, სიტყვები არაჩვეულებრივად მნიშვნელოვანი ხდება, ისინი მოქმედებენ არა როგორც მედიუმი ჩვენსა და სხვა ადამიანებს შორის, არამედ როგორც ცოდნის საშუალება, მაგრამ აქვე ისმის კითხვა, სიტყვები რაიმე გარკვეული აზრით ,,სწორია''? აქვთ თუ არა მათ რაიმე აუცილებელი შინაგანი კავშირი აღსანიშნთან თუ პირობითნი არიან? ეს კითხვა დღესაც აქტუალურია. თუ თანამედროვე ლინგვისტიკა ენას განიხილავს პირობით ნიშანთა სისტემად, განსხვავებული პოზიცია უკავიათ სხვა სფეროთა: რიტორიკის, კულტურული ანთროპოლოგიის, ლიტერატურათმცოდნეობის წარმომადგენლებს, რომლებიც ამოდიან რწმენიდან, რომ ნებისმიერი ადამიანი, მშობლიურ ენაზე თავისი ენის სიტყვათა დიდ ნაწილს მიიჩნევს როგორც ,,სწორს''.

თუ დავუშვებთ, რომ ჩვენი ენა არ არის პირობითი, მაშინ სიტყვები შეიძლება იყოს გზა რეალობის შესამეცნებლად. ანტიკური მოაზროვნეებისათვის ცხადი გახდა, რომ დიალოგის და კამათის ტექნიკაც ემყარება ენას. ამდენად ჭეშმარიტების ძიების საკითხს დაემატა ენის ბუნების კვლევაც. იყო თუ არა ენა საიმედო დასაყრდენი ცოდნის ძიებისას? და შესაძლოა თუ არა საკითხი გადაიჭრას მოკლედ იმით, რომ თუკი ვიცით სიტყვები, ვიცით საგნებიც? თუკი რეალობა ისეთი არის როგორც ამას ჰერაკლიტე ამტკიცებდა, მარად მოძრაობასა და ცვალებადობაში იმყოფება, ეს იმას ნიშნავდა, რომ შეუძლებელია ცოდნის დაფუძნება. თუ რეალობა იცვლება ნიშნებთან მიმართებაში, რომლებიც თავის მხრივ მნიშვნელობებს იცვლიან? ასეთ შემთხვევაში ძნელია ვისაუბროთ საგანთა რეალობაზე. როგორია ადამიანის მიმართება რეალობისადმი? შეგვიძლია თუ არა რომ სრულად დავაღწიოთ თავი სუბიექტურობას?

პლატონის მიხედვით ნებისმიერი საგანი, იქნება ეს რაიმე კონკრეტული თუ აბსტრაქტული. მაგ: სიკეთის ქმნა, არის არასრული ანარეკლი სრული ტრანსცენდენ-ტური რეალობის, რომელიც ვიცოდით დაბადებამდე და ნელ-ნელა ვიხსენებთ ჩვენი მოსვლის

შემდგომ. ამგვარად, ცოდნა რომლისკენაც მივილტვით, არის ამ იდეათა ფორმების ცოდნა. გრძნობადი სამყაროს ასახვას ჩვენს ცნობიერებაში, მივყავართ  რელატივიზმისა და ცოდნის უარყოფისაკენ. თუკი პლატონის მსგავსად მივიჩნევთ, რომ ჩვენგან დამოუკიდებლად არსებობს რეალობა, რომლის შემეცნებაც შესაძლებელია, ამ შემთხვევაში ენისათვის არსებობს ორი შესაძლებლობა:

1. ენა ან ,,აირეკლავს'' რეალობას ისევე როგორც სარკე და ეს ანარეკლი შეიცვლება რეალობის შეცვლასთან ერთად,
2. ან ენა არის პირობითი და რეალობასთან არავითარი კავშირი გააჩნია.

თუკი ენა რეალობას უშუალოდ ასახავს, მაშინ აღარ ხდება საჭირო ძალისხმევა იმის რომ მოვიპოვოთ ცოდნა  და მხოლოდ ენაში ყოფნა საკმარისი იქნება. ხოლო იმ შემთხვევაში თუ აღმოჩნდება, რომ ენა პირობითია, იგი აღარ გამოდგება რეალობის აღსაქმელად და რეალური სამყაროს შესაცნობად დაგვჭირდება სხვა საშუალებების გამონახვა.  თუ ენა ასახავს რეალობას ზუსტად როგორც ის არის, მაშინ ჩვენ ნებისმიერად ვერ მოვიხმართ მას,
- მოხდენილად თუ მოუხერხებლად, შესაფერისად ან შეუფერებლად, სიმართლით ან ტყუილით, ყოფითად და მხატვრულად. მეორეს მხრივ, თუ ენა პირობითია, მაშინ მოწყვეტილი ვართ რეალობას, მაგრამ ამავე დროს თავისუფlები ვართ ვისაუბროთ და ვიმოქმედოთ ჭეშმარიტებასთან შესაბამისად ან შეუსაბამოდ.

ამ საკითხის თემატიზირებას  პლატონი ახდენს  დიალოგ ,,კრატილეს''-ერთ-ერთ ქვესათაურში, რომელსაც ჰქვია  ,,სახელთა სისწორე''. ამ დიალოგში პროტაგორას რელატივისტური პოზიციის ,,ადამიანი ყველაფრის საზომია'' და ასევე ჰერაკლიტეს თვალსაზრისის პერმანენტული ცვალებადობის პოზიციების გამოუსადეგარობაა ნაჩვენები მხოლოდ ენის მეშვეობით ცოდნის დაფუძნების საქმეში.  თუკი პროტაგორას თვალსაზრისს გავიზიარებთ, მოგვიწევს დავეთანხმოთ შეხედულებას, რომლის თანახმადაც სიტყვები ნიშნავს იმას, რასაც მე მინდა რომ ისინი ნიშნავდნენ, მაშინ, როდესაც ჰერაკლიტეს პოზიციით შეუძლებელი იქნებოდა რეფერენცია, რადგან ორივე, სიტყვაცა და რეფერენტიც მუდმივ ცვალებადობაშია.

დიალოგში ,,კრატილე'' ჰერმოგენე წარმოადგენს მოსაზრებას, რომ ენა არის ხელოვნური, პირობითი და გამოიყენება კომუნიკაციისათვის, მაშინ როდესაც კრატილე ენერგიულად იცავს თავის აზრს და დგას ენის რეალობასთან შესაბამისობის პოზიციაზე. სოკრატე კი შეიძლება ითქვას ორივე ამ პოზიციის სუსტ მხარეებს წამოწევს წინ.

სოკრატე თავისი დამაჯერებლობით უმტკიცებს თითოეულს მათი აზრების ლოგიკურ უსუსურობას, ჰერმოგენეს მოსაზრება პირობითობის შესახებ ხაზს უსვამს ენის საკომუნიკაციო ფუნქციას, თუმცა ესაა ის, რაც ირღვევა პირობითობის შორს წასვლის შემთხვევაში. შეუძლებელია ხალხმა ნებისმიერად გამოიყენოს სიტყვები, თუკი მათ წარმატებული კომუნიკაციის დამყარება სურთ და ამდენად პირობითობა განსაზღვრულ ნორმატიულ ძალას იძენს. ხოლო თუ ჩვენ ამის საწინააღმდეგოდ კრატილესთან ერთად გავიზიარებთ, რის მიხედვითაც სიტყვები შეიქმნა აღსანიშნთან სრულ კავშირში, მაშინ სიკრატე კამათობს და აღნიშნავს, რომ  სიტყვები რა თქმა უნდა რაღაც გარკვეულ მომენტში განუყოფელნი უნდა იყვნენ აღსანიშნისაგან, რის საილუსტრაციოდაც მოჰყავს მაგალითი:

*,,როდესაც ვამბობ სიტყვას კრატილე, თუკი ეს სიტყვა აღსანიშნის ზუსტი ანარეკლია, განა არ უნდა დავინახო თავად კრატილე ჩემ თვალწინ?! თუკი სიტყვები მართლა ამას გულისხმობენ რასაც აღნიშნავენ, მაშინ ლოგიკურ ჩიხში ვემწყვდევით: ტყუილი შეუძლებელია.''* [პლატონი ,,კრატილე", 2017.67]; მართლა ასახავენ სიტყვები რეალობას თუ არა, სიკრატე იწყებს შორეული წარსულის გმირთა სახელების გაშიფრას. ჰომეროსისეული ასტინაქსი იყო ჰექტორის ვაჟიშვილი, ქალაქ ტროას დამცველი, რაც შემდეგნაირად იშიფრება: ,,ასტი''- ქალაქი და ,,ანაქს''- მბრძანებელი. როგორც ირკვევა, მოცემული სიტყვა ჰარმონიაშია ამ სახელის მქონე პიროვნებასთან. აგრეთვე ამის მსგავსად ,,არტევესი''- განთქმული თავისი სისასტიკითა და მკვლელობების მოყვარული ბუნებით, ატარებს სახელს რომელიც გამოავლენს მას როგორც ჯიუტს (ateires), თამამს (afrestos) და დამანგრეველს (ateros). ამას მოჰყვება ადამიანის არსებობასთან დაკავშირებული სიტყვა ,,ანთროპოს''- თავისი ცნობილი განმარტებით - ,,არსება რომელიც ზევით იყურება'' (anatherei) და ,,უყურებს დანახულს'' (haopope), რამდენადაც ძველ ბერძნებს ადამიანის ცხოველისაგან განმასხვავებელ მთავარ თვისებად მისი სწორი სიარული და თავს ზემოთ ვარსკვლავების ყურება მიაჩნდათ, ისინი თვლიდნენ, რომ ადამიანის ეს თვისება მისავე სახელწოდებაში უნდა ყოფილიყო ასახული.

აგრეთვე სხეულის აღმნიშვნელი სიტყვა ,,სომა'' აირეკლავს აღსანიშნს: იგი სხეულის სამარხია და ნიშანი იმისა, რომ სახელი აქაა და დაცულია, თუმცა სოკრატე იკვლევს რა სიტყვებს ერთმანეთის მიყოლებით, მიუთითებს რომ ბევრი სიტყვა გაუმჭვირვალეა, ზოგი უცხოური წარმოშობისაა და შეუძლებელია მათი ახსნა ბერძნულის საშუალებით, ხოლო ზოგიერთმა კი სახე იცვალა დროთა განმავლობაში. ამრიგად შესაძლოა ჩვენება იმისა, რომ სიტყვებს აქვთ დიდი შინაგანი სისწორე, თუმცა ისიც უნდა აღინიშნოს, რომ პირობითობა და ხელოვნურობა დიდ როლს ასრულებს მათი წარმოშობისას.

დიალოგი ,,კრატილე'' უპირველეს ყოვლისა ეპისტემოლოგიურ პრობლემას ეხება, ხოლო შემდგომ ლინგვისტურს. როგორ მიიღწევა ჭეშმარიტება? ეს არის ძირითადი შეკითხვა, რომელიც გასდევს პლატონის ნააზრევს. ,,კრატილეში'' იგი იკვლევს იმ მოსაზრებას, რომ ენას აქვს ჭეშმარიტება, რაც კოდირებულია მის სიტყვებში. თუმცა ნაწილობრივ უარყოფს კიდეც ამ მტკიცებას (სოკრატეს სახით ცდილობს ,,ოქროს შუალედის'' დაჭერას), პლატონი აგრძელებს ცოდნის სხვა წყაროების ძიებას და ენა მას უკვე აღარ აინტერესებს.

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ პლატონთან პირველად არის დასმული ეს პრობლემა, კერძოდ ენა პირობითია თუ რეალურად ასახავს სამყაროს ჭეშმარიტ რაობას, ნაჩვენებია ორივე პოზიციის სუსტი და ძლიერი მხარეები, ამდენად, მასთან ნათლად იკვეთება საკითხის დაყენების, მნიშვნელობა და ღიადაა დატოვებული პრობლემის გადაწყვეტა, რამაც ხელი შეუწყო შემდგომ მოაზროვნეებს ენის წარმოშობისა და რაობის ფილოსოფიურ-ლინგვისტურ კვლევაში.

**Nana Guliahvili**

Tbilisi Iv.Javakhishvili state University

**Plato: Language as a Way to Reality**

Abstract

Plato-s areas of interest included language and knowledge relationship issues too, in particular he is interested in ideas The question of the relation of language of the world, whether language is a reliable foundation. In the search for knowledge is a reliable foundation. In the search for knowledge and whether the issue may be resolved by the fact that if we know the words, we know the things. If, like Plato, we consider ourselves independent.There is a reality that can be cognized in this case, there are 2 possibilities for language:

Language "reflects" reality as well as a mirror and this reflection will change with the change of reality, or language is conditional and has nothing to do with reality. If the language reality directly reflects, according to Plato, then the search for knowledge makes sence is deprived because, in this case, language itself is knowledge and if it turns out that langauge is conditional, it is no longer useful to reality to learn.